

შპს პრესტიჟი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია	12
5. ამონაგები	12
6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	12
7. გაყიდვის და კომერციული ხარჯები	12
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
9. გაუფასურების ხარჯები	13
10. ძირითადი საშუალებები	14
11. საინვესტიციო ქონება	15
12. მარაგები	15
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
14. ფული და ფულის ეკვივალენტები	16
15. მიღებული სესხები	16
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
17. საგადასახადო ვალდებულებები	17
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	18
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	18
20. პირობითი ვალდებულებები	19
21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	19

მმართველობის ანგარიშგება	24
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს პრესტიჟის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს პრესტიჟის (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებათა აბზაცი

ჩვენ გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება მე-15 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს, რომ კომპანია ვერ აკმაყოფილებს სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფინანსურ შეზღუდვებს. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექნა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

1 ოქტომბერი 2021 წელი

შპს პრესტიჟის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს პრესტიჟის (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებათა აბზაცი

ჩვენ გვინდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება მე-15 შენიშვნაზე, რომელიც განმარტავს, რომ კომპანია ვერ აკმაყოფილებს სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფინანსურ შეზღუდვებს. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექნა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)



შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

1 ოქტომბერი 2021 წელი

შპს პრესტიჟი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული შენიშვნა 4)
ამონაგები	5	29,283,653	31,567,564
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(15,665,356)	(17,062,414)
საერთო მოგება		13,618,297	14,505,150
სხვა შემოსავალი		157,373	781,888
გაყიდვის და კომერციული ხარჯები	7	(8,530,838)	(9,412,650)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,790,598)	(2,372,096)
გაუფასურების ხარჯები	9	(468,581)	(369,461)
სხვა ხარჯები		(104,248)	(58,759)
საოპერაციო მოგება		2,881,405	3,074,072
წილი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს ზარალიდან		(20,000)	-
ფინანსური ხარჯი	15	(2,235,533)	(620,619)
საკურსო სხვაობის წმინდა ზარალი		(821,169)	(10,112)
მოგება დაბეგრამდე		(195,297)	2,443,341
მოგების გადასახადის ხარჯი		(341,796)	(371,124)
მთლიანი სრული ზარალი (შემოსავალი)		(537,093)	2,072,217

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



მაია პაპალაშვილი

შპს პრესტიჟი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019 (გადაანგარიშებული შენიშვნა 4)
ამონაგები	5	29,283,653	31,567,564
რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	6	(15,665,356)	(17,062,414)
საერთო მოგება		13,618,297	14,505,150
სხვა შემოსავალი		157,373	781,888
გაყიდვის და კომერციული ხარჯები	7	(8,530,838)	(9,412,650)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,790,598)	(2,372,096)
გაუფასურების ხარჯები	9	(468,581)	(369,461)
სხვა ხარჯები		(104,248)	(58,759)
საოპერაციო მოგება		2,881,405	3,074,072
წილი ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს ზარალიდან		(20,000)	-
ფინანსური ხარჯი	15	(2,235,533)	(620,619)
საკუთრო სხვაობის წმინდა ზარალი		(821,169)	(10,112)
მოგება დაბეგვრამდე		(195,297)	2,443,341
მოგების გადასახადის ხარჯი		(341,796)	(371,124)
მთლიანი სრული ზარალი (შემოსავალი)		(537,093)	2,072,217

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მაია პაპალაშვილი

შპს პრესტიჟი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	5,927,251	6,011,303
საინვესტიციო ქონება	11	1,418,594	1,418,594
არამატერიალური აქტივები		36,304	42,008
გადახდილი ავანსები	13	66,825	96,710
		7,448,974	7,568,615
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	8,329,594	9,562,735
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,360,288	1,665,404
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	790,910	1,012,413
		10,480,792	12,240,552
სულ აქტივები		17,929,766	19,809,167
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		42,400	42,400
გაუნაწილებელი მოგება		2,841,432	5,281,443
გადაფასების ნამეტი		1,359,834	1,393,504
		4,243,666	6,717,347
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	5,763,457	3,435,042
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	854,028	3,158,792
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	5,979,798	5,901,893
საგადასახადო ვალდებულებები	17	1,088,817	596,093
		7,922,643	9,656,778
სულ ვალდებულებები		13,686,100	13,091,820
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17,929,766	19,809,167

შპს პრესტიჟი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების ნამეტი	ჯამი
31 დეკემბერი 2018	42,400	5,228,608	1,427,174	6,698,182
მფლობელებზე განაწილებული გამოცხადებული დივიდენდები	-	(2,053,052)	-	(2,053,052)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,072,217	-	2,072,217
გადაფასების ნამეტის გადატანა	-	33,670	(33,670)	-
31 დეკემბერი 2019	42,400	5,281,443	1,393,504	6,717,347
მფლობელებზე განაწილებული გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,936,588)	-	(1,936,588)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(537,093)	-	(537,093)
გადაფასების ნამეტის გადატანა	-	33,670	(33,670)	-
31 დეკემბერი 2020	42,400	2,841,432	1,359,834	4,243,666

10 - 23 გვერდებზე წამოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს პრესტიჟი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		(195,297)	2,443,341
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	7,8	489,340	451,707
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	10	62,387	43,274
მარაგების გაუფასურების ხარჯი	9	220,481	369,461
საპროცენტო ხარჯი	15	482,200	400,876
ერთობლივი საწარმოს ზარალის წილი		20,000	-
ფინანსური და არაფინანსური აქტივების გაუფასურება	9	248,100	-
ზარალი საკურსო სხვაობებიდან		2,574,502	229,855
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		3,901,713	3,938,514
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		42,207	188,598
გაცემული ავანსების შემცირება		4,490	-
მარაგების (ზრდა) შემცირება		1,012,660	(1,141,525)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება) ზრდა		(929,659)	837,158
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა (შემცირება)		448,142	(544,828)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადახდილ პროცენტამდე		4,479,553	3,277,917
გადახდილი პროცენტები	15	(497,398)	(410,273)
გადახდილი მოგების გადასახადი		(297,214)	(338,143)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,684,941	2,529,501
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(461,968)	(1,070,341)
არამატერიალური აქტივები შესყიდვა		-	(9,371)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის		(461,968)	(1,079,712)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
მიღებული სესხები	15	6,901,940	11,864,764
მიღებული სესხების დაფარვა	15	(8,616,425)	(14,223,368)
გადახდილი დივიდენდები		(1,696,588)	(2,053,052)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული ფინანსური საქმიანობისთვის		(3,411,073)	(4,411,656)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების შემცირება		(188,100)	(2,961,867)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	1,012,413	4,001,592
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე		(33,403)	(27,312)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	790,910	1,012,413

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პრესტიჟი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2004 წლის ივლისში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, პ. სარაჯიშვილის ქ. 17ა.

კომპანია ბაზარზე მოღვაწეობს "ისი პარის" სავაჭრო ნიშნით. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კოსმეტიკური და პარფიუმერული პროდუქტით სავაჭრო და საბითუმო ვაჭრობა. ისი პარის მაღაზიებში 150-ზე მეტი პარფიუმერული სახელია წარმოდგენილი: Chanel, Sisley, Shiseido, YSL, Lancome, Cartier, Hermes, Bvlgari, Narciso Rodriguez, Ellie Saab, Marc Jacobs, Chloe, Gucci, Dolce & Gabbana, Burberry, J.P. Gaultier, I. Miyake, C. Herrera, Versace, Davidoff, CK და სხვა.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ისი პარის მაღაზიათა ქსელი წარმოდგენილია 18 და 21 საცალო გაყიდვების წერტილით საქართველოში.

კომპანიის გენერალური დირექტორია მაია პაპალაშვილი.

კომპანიის მფლობელები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წილი
ლევან მარგველაშვილი	25%
პაატა გიგაური	25%
გიორგი მედულაშვილი	25%
დავით მედულაშვილი	25%

კომპანია ფლობს 33,34% იან წილს შპს ამფორა-ში (ერთობლივად კონტროლირებადი საწარმო), რომელმაც 2020 წელს შეწყვიტა ძირითადი საქმიანობა. ინვესტიციის ღირებულება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის ნულის ტოლი, ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს ზარალის გამო.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 21-ე შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა საინვესტიციო ქონების და ძირითადი საშუალებებში წარდგენილი შენობებებისა და მიწების, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება განსჯის შედეგად მსგავსი აქტივების გამოცდილების საფუძველზე. აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებელი გამოიყენება მოხმარების დროს. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში შემავალი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მენეჯმენტი ნარჩენ მომსახურების ვადას განსაზღვრავს მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით და აფასებს რა პერიოდის განმავლობაში შეუძლია კომპანიას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. ამ შეფასების პროცესში კომპანია ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს: ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე; და გ) ტექნიკური ან კომერციული დაძველება, რომელიც გამომდინარეობს ბაზრის პირობების ცვლილებებისაგან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების რეზერვის დარიცხვა ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (როგორიცაა კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, დეფოლტი, გადახდის პირობების მნიშვნელოვანი დარღვევა), რომ კომპანია ვერ მიიღებს თანხას მთლიანი მოცულობით, ხოლო რეზერვის თანხა წარმოადგენს წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაუფასურებული მოთხოვნის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობას. როდესაც დადასტურდება, რომ კომპანია ვერ მიიღებს მოთხოვნებში არსებულ თანხებს მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამის რეზერვთან.

რეალური ღირებულებით შეფასება. კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება.

ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

კომპანია რეალური ღირებულებით აფასებს საინვესტიციო ქონებას და ძირითად საშუალებებში წარდგენილ შენობებსა და მიწებს (შენიშვნა 10,11).

შპს პრესტიჟი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარიში)

4. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

მიმდინარე კლასიფიკაციებთან წინა პერიოდის თანხვედრაში მოსაყვანად კომპანიამ შეასრულა შემდეგი რეკლასიფიკაციები, კერძოდ:

- მომხმარებლებისთვის საქონლის შესყიდვის დროს საჩუქრად გადაცემული მარაგები რეკლასიფიცირდა გაყიდვის და კომერციული ხარჯებიდან თვითღირებულებაში - 969,747 ლარი
- პარტნიორების ხელფასი რეკლასიფიცირებულია საერთო და ადმინისტრაციული ხარჯებიდან გაყიდვის და კომერციულ ხარჯებში - 1,518,690 ლარი
- სასესხო ვალდებულებებზე არსებული საკურსო სხვაობის ეფექტი რეკლასიფიცირდა ფინანსურ ხარჯებში - 219,743 ლარი

	2019 (გადაანგარიშებამდე)	რეკლასიფიკაცია	2019 (გადაანგარიშებული)
გაყიდვის თვითღირებულება	(16,092,667)	(969,747)	(17,062,414)
გაყიდვის და კომერციული ხარჯები	(8,863,707)	(548,943)	(9,412,650)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,890,786)	1,518,690	(2,372,096)
ფინანსური ხარჯები	(400,876)	(219,743)	(620,619)
საკურსო სხვაობა	(229,855)	219,743	(10,112)

5. ამონაგები

	2020	2019
სუნამოები	20,371,112	22,092,269
კანის მოვლის საშუალებები	5,538,376	4,835,329
კოსმეტიკა	2,692,825	3,905,635
სხვა	681,340	734,331
	29,283,653	31,567,564

6. რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება

	2020	2019
სუნამოები	(10,301,376)	(11,168,647)
კანის მოვლის საშუალებები	(2,835,586)	(2,578,655)
კოსმეტიკა	(1,326,796)	(1,953,224)
სხვა	(278,014)	(392,141)
მომხმარებლებზე გადაცემული საჩუქრები	(923,584)	(969,747)
	(15,665,356)	(17,062,414)

7. გაყიდვის და კომერციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(4,118,191)	(4,343,392)
იჯარა	(2,365,600)	(2,663,158)
სარეკლამო მასალები	(799,166)	(1,002,607)
მარკეტინგისა და პრომოუშენის ხარჯები	(361,062)	(597,617)
ბანკის საკომისიო	(283,892)	(273,679)
ცვეთა და ამორტიზაცია	(281,140)	(231,151)
სხვა	(321,787)	(301,046)
	(8,530,838)	(9,412,650)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება განმარტებულია მე-18 შენიშვნაში.

შპს პრესტიჟი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასები	(980,184)	(1,078,511)
ცვეთა და ამორტიზაცია	(208,200)	(220,556)
სამეურნეო ხარჯი	(171,149)	(140,811)
საკომუნიკაციო ხარჯი	(87,518)	(77,250)
ბანკის საკომისიო	(78,716)	(104,999)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(74,305)	(105,186)
სხვა	(190,526)	(644,783)
	(1,790,598)	(2,372,096)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება განმარტებულია მე-18 შენიშვნაში.

9. გაუფასურების ხარჯები

	2020	2019
მარაგები	(220,481)	(369,461)
ფინანსური აქტივები (შენიშვნა 13)	(222,707)	-
არაფინანსური აქტივები (შენიშვნა 13)	(25,393)	-
	(468,581)	(369,461)

შპს პრესტიჟი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მიწა	ოფისის აღჭურვილობა	იჯარის კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2018	2,596,302	642,385	778,477	1,068,018	176,401	1,359,842	482,437	7,103,862
შესყიდვა	-	-	303,497	370,708	-	396,136	-	1,070,341
გასვლა	-	-	(64,825)	(79,769)	-	(62,254)	-	(206,848)
31 დეკემბერი 2019	2,596,302	642,385	1,017,149	1,358,957	176,401	1,693,724	482,437	7,967,355
შესყიდვა	-	-	30,047	224,273	12,000	195,648	-	461,968
გასვლა	-	-	(71,718)	(337,307)	-	(40,957)	-	(449,982)
31 დეკემბერი 2020	2,596,302	642,385	975,478	1,245,923	188,401	1,848,415	482,437	7,979,341
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2018	-	-	(387,775)	(632,963)	(93,972)	(465,366)	(100,135)	(1,680,211)
ცვეთა	(63,971)	-	(88,939)	(88,979)	(13,875)	(136,845)	(46,806)	(439,415)
გასვლა	-	-	50,670	76,623	-	36,281	-	163,574
31 დეკემბერი 2019	(63,971)	-	(426,044)	(645,319)	(107,847)	(565,930)	(146,941)	(1,956,052)
ცვეთა	(63,544)	-	(110,646)	(88,786)	(14,084)	(159,496)	(47,077)	(483,633)
გასვლა	-	-	45,132	314,755	-	27,708	-	387,595
31 დეკემბერი 2020	(127,515)	-	(491,558)	(419,350)	(121,931)	(697,718)	(194,018)	(2,052,090)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2019	2,532,331	642,385	591,105	713,638	68,554	1,127,794	335,496	6,011,303
31 დეკემბერი 2020	2,468,787	642,385	483,920	826,573	66,470	1,150,697	288,419	5,927,251

კომპანია 2018 წლის 31 დეკემბერს შენობების და მიწების შემდგომი აღრიცხვისთვის გადავიდა გადაფასების მოდელზე. ბოლო შეფასება გაკეთდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასება გააკეთა დამოუკიდებელმა შემფასებელმა საბაზრო მიდგომის გამოყენებით.

კომპანია რომ არ გადასულიყო გადაფასების მოდელზე თვითღირებულებით აღრიცხული შენობების და მიწების საბალანსო ღირებულება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იქნებოდა 1,748,035 და 1,779,772 ლარი, წლების შესაბამისად.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ჩადებულია ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტის უზრუნველყოფაში (შენიშვნა 15).

შპს პრესტიჟი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

11. საინვესტიციო ქონება

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ფალიაშვილის ქუჩა #17-ში მდებარე 298 კვ.მ. კომპანიას მთლიანი ფართის მნიშვნელოვანი ნაწილი გაქირავებული აქვს (263.67 კვ.მ.) და 2020 და 2019 წლების განმავლობაში მიიღო 50,381 და 103,447 ლარის საიჯარო შემოსავალი.

კომპანია 2018 წლის 31 დეკემბერს შენობის და მასზე მიმაგრებული მიწის შემდგომი აღრიცხვისთვის გადავიდა გადაფასების მოდელზე. ბოლო შეფასება გაკეთდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეფასება გააკეთა დამოუკიდებელმა შემფასებელმა საბაზრო მიდგომის გამოყენებით.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება ჩადებულია ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტის სესხის უზრუნველყოფაში (შენიშვნა 15).

	კომერციული ფართი
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	1,418,594
გადაფასების ნამეტი წარდგენილი მოგება ან ზარალში	-
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1,418,594
გადაფასების ნამეტი წარდგენილი მოგება ან ზარალში	-
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	1,418,594

12. მარაგები

	2020	2019
სუნამოები	4,216,718	5,028,527
კოსმეტიკა	1,315,411	1,682,030
სარეკლამო მასალები	1,259,964	1,174,780
კანის მოვლის საშუალებები	1,178,237	1,001,350
საქონელი გზაში	-	201,169
სხვა	359,264	474,879
	8,329,594	9,562,735

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	66,825	96,710
მოკლევადიანი ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,513,603	1,609,113
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(222,707)	-
	1,290,896	1,609,113
არაფინანსური აქტივები		
გაცემული ავანსები	94,785	56,291
გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვი	(25,393)	-
	69,392	56,291
სულ მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,360,288	1,665,404

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

შპს პრესტიჟი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
ნაღდი ფული	207,786	226,500
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	344,908	172,063
ფული გზაში	238,216	613,850
	790,910	1,012,413

ფული გზაში სრულად წარმოდგენილია ტერმინალით რეალიზაციიდან შემოსული თანხებით, რომელიც ჯერ არ არის ასახული კომპანიის ანგარიშზე.

15. მიღებული სესხები

	2020	2019
გრძელვადიანი ნაწილი		
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტი	5,763,457	3,435,042
მოკლევადიანი ნაწილი		
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტი	854,028	3,158,792
სულ სესხები	6,617,485	6,593,834

2020 წელს კომპანიამ მოახდინა ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული რამოდენიმე სესხის რესტრუქტურისაცა და გააერთიანა ერთ სესხად. სესხი აღებულია ევროში, 6% -იანი წლიური სარგებლის განაკვეთით, დაფარვის ვადაა 2025 წლის 6 ივლისი.

მიღებული სესხის ფარგლებში, კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები (კოვენანტები). იმ შეზღუდვების აღწერა, რომელსაც კომპანია ვერ აკმაყოფილებს იხილეთ ქვემოთ:

- მსესხებელს არ აქვს უფლება, სესხის მოქმედების პერიოდზე, ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე მოახდინოს ბიზნესიდან თანხების გადინება ნებისმიერი ფორმით, მათ შორის დივიდენდის გაცემით, რომელმაც არ უნდა გადააჭარბოს თვეში 120,000 ლარს, ამავდროულად მსესხებელი ვალდებულია სესხის მოქმედების პერიოდზე შეინარჩუნოს სესხების მომსახურების კოეფიციენტი DSCR (CFADS) მინიმუმ 1.1-ით. [DSCR (CFADS) იანგარიშება: (EBITDA - ცვლილება საბრუნავ კაპიტალში - CAPEX - დივიდენდი - მოგების გადასახადი)/(გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირი და პროცენტი) - მოკლევადიან სესხებზე გადასახდელი პროცენტი]. - არ კმაყოფილდება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- მსესხებელი კომპანიის წმინდა საბრუნავმა კაპიტალმა არ უნდა შეადგინოს 7 000 000 ლარზე ნაკლები. (მიმდინარე აქტივების და მიმდინარე ვალდებულებების სხვაობა) - არ კმაყოფილდება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- მსესხებლის მიმდინარე აქტივების თანაფარდობამ მიმდინარე ვალდებულებებთან არ უნდა შეადგინოს 150%-ზე ნაკლები. - არ კმაყოფილდება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- საოპერაციო მოგება (EBIDA) არ უნდა შეადგინოს ჯამურ სესხებზე და გარანტიაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯების, გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირითადი თანხების, კაპიტალური დაზანდებების, ლიზინგის გადასახადების და გაცემული დივიდენდების 130%-ზე ნაკლები. (EBIDA) - წარმოადგენს საოპერაციო მოგებას საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე [გადასახადები დაკლებულია] - არ კმაყოფილდება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- საოპერაციო მოგება (EBIDA) არ უნდა შეადგინოს დარიცხული საპროცენტო ხარჯების 12.5-ზე ნაკლები. (EBIDA) წარმოადგენს საოპერაციო მოგებას საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე [გადასახადები დაკლებულია] - არ კმაყოფილდება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

მიღებული სესხების უზრუნველსაყოფად კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება და საინვესტიციო ქონება დატვირთულია იპოთეკით. სესხი დამატებით უზრუნველყოფილია ყველა მფლობელის კუთვნილი 25%-იანი წილებით კომპანიაში.

ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად ფინანსურ ინსტიტუტს აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულია რომ ფინანსური კოვენანტების დარღვევის შემთხვევაში მოითხოვოს დარჩენილი სესხის ძირის სრულად ან ნაწილი თანხის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

შპს პრესტიჟი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

15. მიღებული სესხები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის ხელმძღვანელობა და ფინანსური ინსტიტუტის წარმომადგენლები შეთანხმდნენ, რომ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის დარღვეული ფინანსური კოეფიციენტები არ იქნებოდა სესხის დაუყოვნებლივი გამოთხოვის მიზეზი 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2020 და 2019 წელს სესხებზე დაერიცხა 482,200 და 400,876 ლარის საპროცენტო ხარჯი, წლების შესაბამისად.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვრისთვის	(6,593,834)	(8,742,092)
ფულადი მუხლები		
სესხის მიღება	(6,901,940)	(11,864,764)
ძირის გადახდა	8,616,425	14,223,368
პროცენტის გადახდა	497,398	410,273
არაფულადი მუხლები		
საპროცენტო ხარჯი	(482,200)	(400,876)
გადაფასება	(1,753,333)	(219,743)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	(6,617,485)	(6,593,834)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,942,937	4,035,395
სახელფასო ვალდებულებები	386,884	405,088
დივიდენდები	240,000	-
	4,569,821	4,440,483
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები*	1,409,977	1,383,325
საახალწლო გათამაშების ანარიცხი	-	78,085
	5,979,798	5,901,893

* მიღებული ავანსების ნაშთი სრულად წარმოდგენილია სასაჩუქრე ვაუჩერების სანაცვლოდ მიღებული თანხებით.

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

17. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად, როგორც ვალდებულება 1,088,817 და 596,093 ლარის ოდენობით, წლების შესაბამისად.

შპს პრესტიჟი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	დამფუძნებლები	ერთობლივი საწარმო	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	87,992	-	222,707	310,699
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - გაუფასურება	-	-	(222,707)	(222,707)
მარაგის შესყიდვა	-	-	34,995	34,995

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შემოსავლები	49,798	-	-	49,798
სხვა შემოსავალი	50,381	-	-	50,381
დივიდენდები	-	240,000	-	240,000

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარეები	ერთობლივი საწარმო	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	80,931	390,692	471,623
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
შემოსავლები	68,076	381,189	449,265
სხვა შემოსავალი	103,447	-	103,447

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის მფლობელებზე გაცემული იყო შემდეგი ანაზღაურება:

	2020	2019
უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	1,500,991	1,708,740

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი მოვლენები

- 2021 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გამოაცხადა დივიდენდის გაცემა მფლობელებზე 2,297,263 ლარის.
- 2021 წლის 23 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანიამ ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან აიღო 1,630,000 ევროს სესხი, რომლითაც მოხდა არსებული სესხის გადაფარვა.

20. პირობითი ვალდებულებები**დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 426,215 ლარი.

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე, ფულს გზაში და მოთხოვნადე დეპოზიტებს, ასევე 3 თვემდე ვადიან დეპოზიტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე, გარდა მიწებისა და შენობების რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა იცვითება საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	10-50
სატრანსპორტო საშუალებები	10-14
იჯარის კეთილმოწყობა	7-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-15
ოფისისა და მაღაზიის აღჭურვილობა	2-15
სხვა	5-10

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაფასების ნამეტი წარდგება სრულ შემოსავალში როგორც ძირითადი საშუალების გადაფასების ნამეტი. გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში აღიარდება იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი წარდგება მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული ზარალი. გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში 'გადაფასების რეზერვის სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადაფასების რეზერვი გადადის გაუნაწილებელ მოგებაზე კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით. კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული

გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

2018 წლის 31 დეკემბრიდან კომპანია საინვესტიციო ქონების შემდგომი შეფასებისთვის იყენებს რეალური ღირებულების მოდელს. რეალური ღირებულების ცვლილება წარდგება მოგება ან ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როდესაც წარმოიქმნა.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. კომპანიის მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

21. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს(ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

შპს პრესტიჟი

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს პრესტიჟი

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

შპს „პრესტიჟი“ 16 წელია ახდენს პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის საცალო და საბითუმო რეალიზაციას საქართველოში. კომპანია ბაზარზე მოღვაწეობს "ისი პარის" სავაჭრო ნიშნით. საცალო გაყიდვების ბაზარზე კომპანია ერთ-ერთი ლიდერია საქართველოში, როგორც ფინანსური ისე რაოდენობრივი მაჩვენებლებით. პარფიუმერულ დარგში შპს „პრესტიჟი“-ს დიდი ხნის განმავლობაში ბიზნესის წარმოებამ კომპანიას საშუალება მისცა დაემყარებინა განსაკუთრებული ურთიერთობები მსოფლიოს წამყვან საერთაშორისო პარფიუმერულ კომპანიებთან რაც კომპანიის საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

ქსელში წარმოდგენილია შემდეგი ბრენდები: CHANEL, THE MERCHANT OF VENICE, BVLGARI, HERMES, COACH, DUPONT, MONTBLANCH, CARTIER, SISLEY, BOGART, TED LAPIDUS, CHEVIGNON, NAF NAF, CARVEN, CORANIA, BOSS, BURBERRY, C. KLEIN, CHLOE, DAVIDOFF, ESKADA, GUCCI, LACOSTE, LANCASTER, MARK JACOBS, ROBERTO CAVALLI, STELLA MCCARTNEY, TIFFANI, BOTEGA VENETA, SHISEIDO, D&G, ELIE SAAB, ISSEY MIYAKE, NARCISO RODRIGUEZ, ZADIC & VOLTAIRE, PUPA, P. RABANE, PRADA, C. HERRERA, J. P. GAULTIER, NINA RICCI, BENETTON, BANDERAS, AVENE, KLORENE, CHOPARD, FILIPPLEIN, FURLA, ZIPPO, DSQUARED2, MISSONI, MOSCHINO, VERSACHE, JEANNE PIAUBERT, ARMANI, LANKOME, MUGLER, YSL, VALENTINO და ა.შ.

კომპანია „ისი პარი“ პარფიუმერულ დარგში ერთ-ერთი გამოცდილი და მომხმარებელზე ორიენტირებული ქსელია, რომელიც მუდამ ცდილობს სიახლე შემოიტანოს ბაზარზე და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნები და სურვილები. მიუხედავად მსოფლიოში არსებული კრიზისისა კომპანია მუდმივად ცდილობს მომხმარებლებს შესთავაზოს სიახლე, ჩვენს ფილიალში-ვაკეში გაიხსნა შანელის მოვლის კაბინეტი სადაც მომხმარებელს შეუძლია ჩაიტაროს სახის მოვლის პროცედურები, ასევე თითქმის ყველა ფილიალში შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სახის დიაგნოსტიკით და კვალიფიცირებული მაკიაჟის ექსპერტის მომსახურებით.

კომპანია ახდენს საბითუმო რეალიზაციებს როგორც უშუალო კონკურენტებთან, ისე სხვა საცალო სავაჭრო ქსელებთან. საბითუმო რეალიზაციების მნიშვნელოვანი წილი მოდის ივერია ფრანსთან, სტაილთან, ამფორასთან, ასევე სააფთიაქო ქსელებთან როგორცაა შპს გეფა, შპს ფარმა, ავერსი, ფარმა და ა.შ ძირითადად კოსმეტიკური საშუალებების სახით.

ბიზნეს მოდელი და საცალო გაყიდვების ცენტრები

ისი პარის მაღაზიათა ქსელი წარმოდგენილია 18 საცალო გაყიდვების წერტილით საქართველოში. აქედან 13 თბილისში, 5 რეგიონში.

კომპანია საცალო მაღაზიების გახსნაზე, მის მოცულობას და წარმოდგენილი პროდუქტის ასორტიმენტზე გადაწყვეტილების მიღებამდე ახდენს გარკვეულ მარკეტინგულ კვლევას. ასეთი კვლევების შედეგად დღეის მდგომარეობით კომპანიის საცალო ქსელი წარმოდგენილია:

- თბილისში 13, ისი პარის“ მაღაზიით, საიდანაც:
 - 9 დიდი მაღაზიაა, სადაც კომპანიის პორტფოლიოში არსებული ყველა ბრენდია წარმოდგენილი.
 - 3 საშუალო ზომის მაღაზია, სადაც წამყვანი ბრენდებია წარმოდგენილი და
 - 1 პატარა მაღაზიაა, სადაც ადგილმდებარეობიდან გამომდინარე წარმოდგენილია სხვადასხვა ბრენდი (მოთხოვნიდან გამომდინარე)
- ბათუმში, რუსთავეში, ფოთსა და ქუთაისში კომპანიას წარმოდგენილი აქვს დიდი ზომის მაღაზიები, სადაც ევროპის წამყვანი ბრენდების პროდუქციაა წარმოდგენილი.

დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით მაღაზიებს მართავენ მენეჯერები, რომლებიც თავის მხრივ ექვემდებარებიან გენერალურ დირექტორს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს, როგორცაა საკადრო განყოფილების უფროსი, კომერციული მართვის ხელმძღვანელი და ფინანსური დირექტორი.

კომპანია მუდმივად აანალიზებს ბაზართან მიმართებაში მაღაზიის მდგომარეობას, არეალს, სადაც მაღაზიაა წარმოდგენილი და თუ ამის საჭიროება არსებობს, ახდენს გაყიდვების წერტილის განახლებას, გაფართოვებას და ასორტიმენტის გაზრდას. მსგავსი ანალიზის საფუძველზე გაფართოვდა ვაკის და გლდანში მდებარე გაყიდვების წერტილები.

მენეჯმენტი რეგიონებში ორიენტირებულია საცალო გაყიდვების წერტილები გადაიტანოს მსხვილ სავაჭრო ცენტრებში ან დასახლებული პუნქტის ცენტრთან ახლოს. 2021 წლისთვის იგეგმება ახალი ობიექტის გახსნა

რუსთავი მოლის სავაჭრო ცენტრში და თელავში, სადაც იქნება სრული ასორტიმენტი წარმოდგენილი.

მაღალი ხარისხის თანამედროვე პროდუქციასთან ერთად, საცალო გაყიდვების წერტილებს, მათ გარეგნულ იერსახეს, ადგილმდებარეობას, თანამშრომელთა კვალიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიისთვის, რადგან აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის წარმატებას.

კადრების მართვა და ანაზღაურების სისტემა

სულ ორგანიზაციაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2020 წლისთვის იყო 265. აქედან ოფისის პერსონალი და ლოჯისტიკა 104, ხოლო კლიენტებთან ურთიერთობაში ჩართულია 161 თანამშრომელი.

ცხრილი #1	თანამშრომელთა რაოდენობა
საშუალო და უმაღლესი მენეჯმენტი	12
სულ თანამშრომლები	265


კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომელთა კეთილდღეობაზე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგებს სისტემატიურად ატარებენ როგორც ადგილობრივი ასევე მოწვეული უცხოელი სპეციალისტები. კომპანიდან არ მომხდარა თანამშრომლების განთავისუფლება და მაქსიმალურად შევცვადეთ COVID 19 -თან დაკავშირებული სირთულეების გადალახვას მთელ გუნთან ერთად.

მენეჯმენტი მომავალშიც გეგმავს იზრუნოს კადრების კვალიფიკაციაზე და ამ მხრივ გამოყოს ადამიანური და ფინანსური რესურსი.

ბაზარზე პოზიციონირება და კონკურენცია

კომპანია ორიენტირებულია შეინარჩუნოს წამყვანი ადგილი კონკურენტულ გარემოში და დღემდე ამას წარმატებით ახერხებს.

ისი პარი საქართველოში პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის ვაჭრობის სფეროში არსებული ყველაზე დიდი მაღაზიათა ქსელია.



წყარო: www.lutecia.ge, www.voulez-vous.ge

როგორც გრაფიკიდან ჩანს შპს „პრესტიჟი“ სავაჭრო ნიშნით „ისი პარი“-საქართველოში, პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმის ვაჭრობის სფეროში არსებული ყველაზე დიდი მაღაზიათა ქსელია.

შპს „პრესტიჟს“ ასევე პარტნიორული ურთიერთობები აქვს ჩამოყალიბებული ზემოაღნიშნულ კონკურენტებთან.

სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია ორიენტირებულია ბიზნესის მუდმივ განვითარებაზე. კომპანიის მმართველობის შეხედულებით, ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელია:

1. საცალო გაყიდვების ქსელის პერიოდული გაფართოება
2. ასორტიმენტის პერიოდული განახლება
3. გაყიდვებში ჩართული თანამშრომლების მუდმივი გადამზადება

ისი პარი 18 მაღაზიით არის დღეს წარმოდგენილი თბილისსა და რეგიონში, თუმცა კომპანია ორიენტირებულია კიდევ უფრო განავითაროს ქსელი და მოიცვას საქართველოს ყველა ასათვისებელი რეგიონი, სადაც ხედავს პოტენციალს;

ახალი ბრენდების შემოყვანა საქართველოს ბაზარზე - ბაზრისა და საკუთარი მაღაზიების ანალიზის გზით კომპანია ახდენს ისეთი პროდუქტების იდენტიფიცირებას, რომელიც აკლია ასორტიმენტს და ამის საფუძველზე გეგმავს ბრენდების მოძიებას მომხმარებელთა ყველა კატეგორიისთვის. საჭიროების იდენტიფიცირებას ახდენს მომხმარებლების მოთხოვნებიდან და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული სიახლეებიდან გამომდინარე.

ყოველწლიურად კომპანიის მენეჯმენტი ესწრება საერთაშორისო გამოფენას კანში, სადაც სხვადასხვა მსოფლიო დონის ბრენდები ახდენენ სიახლეების პრეზენტაციას. 2020 წელს კომპანიამ ქართულ ბაზარზე შემოიტანა ახალი ბრენდები, როგორიცაა FURLA, CHOPARD, PFILIP PLEIN, MUGLER, AZZARO თუმცა, ამავე დროს უარი თქვა სხვა ისეთი პროდუქტის შემოტანაზე, რომელზე მოთხოვნა ქართველი მომხმარებლის გემოვნური, საფასო თუ სხვა მიდრეკილებების გამო არ იქნებოდა წარმატებული.

სამომავლო გეგმები ამ ეტაპისთვის სრულ თანხვედრაშია კომპანიაში ბოლო პერიოდში დანერგილ მმართველობით სტრატეგიასთან. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იგეგმება.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2020 წელს კომპანიას არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ყველა კომპანიას ფუნქციონირებისათვის სჭირდება ფინანსები და ფინანსური მენეჯერის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად ამ ფინანსების გონივრული და ეფექტური გამოყენება.

ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლები მყისიერ ასახვას პოვენს კომპანიის კეთილდღეობაზე, ამიტომ მას აქვს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკლევადიანი ეფექტი. არაფინანსური მაჩვენებლები კი ძირითადად ორიენტირებულია გრძელვადიან კეთილდღეობაზე და მათი ეფექტი გრძელვადიან პერიოდში ასახვას პოვენს ფინანსურ მაჩვენებლებზე. ქვემოთ განვიხილავთ ორივე ტიპის მაჩვენებელს და აღვწერთ მათი ზეგავლენა ბიზნესზე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შპს „პრესტიჟი“ 2017 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგებას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს). კომპანიას საკმაოდ ჯანსაღი და მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვს.

ცხრილი #2 (ლარში)	2020	2019
წმინდა საბრუნავი კაპიტალი*	2,558,149	2,583,774
ფული და ფულის ეკვივალენტები	790,910	1,012,413
სულ აქტივები	17,929,766	19,809,167
სესხები	6,617,485	6,593,834
ვალდებულებები სულ	13,686,100	13,091,820
საკუთარი კაპიტალი	4,243,666	6,717,347

შპს პრესტიჟი

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

*მიმდინარე აქტივები - (1-წლიანი სესხები + ვალდებულებები მომწოდებელთან + საგადასახადო ვალდებულებები)

როგორც ცხრილი #2-ში ვხედავთ, კომპანიას აქვს საკმაოდ კარგად დაკომპლექტებული საბრუნავი კაპიტალი - მიმდინარე აქტივები საშუალოდ 2,6 მლნ ლარით აღემატება მოკლევადიან (ერთ წლამდე) ვალდებულებებს. ეს, კომპანიის საკუთარ კაპიტალთან ერთად, კარგი მაჩვენებელია კომპანიის სავაჭრო პარტნიორებისთვის, რადგან ის ზრდის კომპანიისადმი ნდობას.

ცხრილი #3 (ლარში)	2020	2019
შემოსავალი	29,283,653	31,567,564
საერთო მოგება	13,618,297	15,474,897
EBITDA	776,244	3,295,924
წმინდა მოგება	(537,093)	2,072,217

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის კომპანია არ ფლობს არც საკუთარ და არც სხვა კომპანიის აქციებს.

ძირითადი კოეფიციენტების ანალიზი

კომპანიის წარმატებისთვის, გარდა პოტენციურად მომგებიანი პროექტების გამოვლენისა და განხორციელებისა, საჭიროა ყოველდღიური ოპერირება. საბრუნავი კაპიტალის სწორი მართვა რომელიც მოიცავს: დებიტორული დავალიანების დროულად ამოღების უზრუნველყოფას, ვალდებულების დროულად დაფარვას და მარაგის მინიმალური და ეფექტური წარმოებისთვის შესაბამისი დონის შენახვას.

შენიშვნა: გამომდინარე იქედან, რომ ქართულ ბაზარზე არსებულ მსგავს კომპანიებზე აღნიშნული ინფორმაცია არ საჯაროვდება, ვერ ვახდენთ ჩვენი უშუალო კონკურენტების მონაცემების შედარებით ანალიზს. ცხრილი #4-ში მოცემულია პრესტიჟის 2020 წლის მონაცემების შედარება 2019 წლის მონაცემებთან.

ცხრილი #4	2020	2019
კრედიტორის დაფარვის დღე	93	80
დებიტორის დაფარვის დღე	19	20
მარაგის ბრუნვის დღე	208	208
ფულის ბრუნვის ციკლი	135	149
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1,32	1,27

როგორც ცხრილში ჩანს - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს -1,32 (რაც მეტია 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით) რაც იმას ნიშნავს, ლიკვიდური აქტივები, რომელთა ფულად გადაქცევა 1 წლამდე პერიოდში ადვილად არის შესაძლებელი, 1,32-ჯერ აღემატება 1 წლამდე პერიოდში გადასახდელი ვალდებულებებს.

შპს პრესტიჟი

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის 2020 წლის მონაცემების შედარება 2019 წლის მონაცემებთან.

ცხრილი #5	2020	2019
საერთო მოგების მარჟა	47%	49%
EBITDA მარჟა	2.7%	10%
აქტივების უკუგება (ROA)	-3,0%	10%
კაპიტალის უკუგება (ROE)	-2,45%	31%
ინვესტიციაზე უკუგება (ROCE)	2,9%	28%

როგორც ცხრილ #5-ში ჩანს, მომგებიანობის ძირითადი პარამეტრით კომპანიის 2020 წლის მონაცემები საგრძნობლად შემცირდა 2019 წელთან შედარებით, რაც ძირითადად განპირობებულია სავალუტო კურსის მომატებით რომელმაც პირდაპირი გავლენა მოახდინა წმინდა მოგებაზე და შესაბამისად ფინანსურ მაჩვენებლებზე.

2020 წელს COVID 19 -ის შესაჩერებლად მთავრობის მიერ გატარებულ ზომებს მოყვა ეკონომიკური ვითარების მკვეთრი გაუარესება, რეალურად კომპანიამ იმუშავა ჩვეულ რეჟიმში 9 თვის განმავლობაში, თუმცა კომპანიამ სხვა დანარჩენ პერიოდში მოახდინა შესაბამისი ზომების მყისიერი და დროული მიღება, შეიქმნა ონლაინ გაყიდვების დეპარტამენტი, ასევე ცხელი ხაზი, ყველა თანამშრომელი სახლში უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით, რათა მიეღოთ შეკვეთები და ჩვენივე ძალებითვე ვახდენდით მომხმარებლებთან პროდუქციის მიწოდებას ადგილზე.

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები

გარემოს დაცვის კუთხით კომპანიის საქმიანობა რისკის შემცველი არ არის. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის მიერ იდენტიფიცირებული წუნდებული მარაგების განადგურება ხდება საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკისა და ჩვენი უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების მიხედვით, ამ პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის უსაფრთხოდ და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

გარემოს დაცვის კუთხით კომპანიის საქმიანობა რისკის შემცველი არ არის. საჭიროების შემთხვევაში, კომპანიის მიერ იდენტიფიცირებული წუნდებული მარაგების განადგურება ხდება საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკისა და ჩვენი უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციების მიხედვით, ამ პროცესში ჩართული თანამშრომლებისთვის უსაფრთხოდ და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

რისკების მართვა

ნებისმიერი ბიზნეს-საქმიანობა არის ფინანსური რისკის შემცველი. ამისგან არც შპს „პრესტიჟი“ არ არის განთავისუფლებული. თუმცა, კომპანია ცდილობს ისე მართოს სხვადასხვა საშიშროებები, რომ შეინარჩუნოს მმართველობის მიერ განსაზღვრული განვითარების მთავარი კურსი და ამასთან კომპანიამ მიიღოს მოგება.

ბიზნესის მთავარი რისკი არის სავალუტო რისკი, რაც გულისხმობს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების

გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. კერძოდ, კომპანიის მომწოდებლები ძირითადად ევროპული პარფიუმერული კომპანიებია, რომელთა საოპერაციო ვალუტა ევროსა და აშშ დოლარშია. შპს „პრესტიჟის“ ფუნქციონალური ვალუტა ლარია, შესაბამისად, ბუნებრივად წარმოიშობა გაცვლითი კურსის მერყეობის რისკი. ასევე, კომპანიის სესხები დონომინირებულია ევროში, რაც აღრმავებს სავალუტო რისკს.

კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აიცილოს სავალუტო რისკი და წლის ბოლოსთვის გეგმავს თანხის დაზღვევას ფორვარდული სავალუტო კონტრაქტის მეშვეობით.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგები წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

_____ მაია პაპალაშვილი

ბიზნესის მთავარი რისკი არის სავალუტო რისკი, რაც გულისხმობს, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხეს სავალუტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით გამოწვეული ეფექტების გავლენა მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე. კერძოდ, კომპანიის მომწოდებლები ძირითადად ევროპული პარფიუმერული კომპანიები, რომელთა საოპერაციო ვალუტა ევროსა და აშშ დოლარშია. შპს „პრესტიჟის“ ფუნქციონალური ვალუტა ლარია, შესაბამისად, ბუნებრივად წარმოიშობა გაცვლითი კურსის მერყეობის რისკი. ასევე, კომპანიის სესხები დონომინირებულია ევროში, რაც აღრმავებს სავალუტო რისკს.

კომპანიის მენეჯმენტი მაქსიმალურად ცდილობს თავიდან აიცილოს სავალუტო რისკი და წლის ბოლოსთვის გეგმავს თანხის დაზღვევას ფორვარდული სავალუტო კონტრაქტის მეშვეობით.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

კომპანიის ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკის მოცულობას ადგენს დებიტორული დავალიანების ყოველთვიური ვადიანობის ანალიზით.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევეს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგები წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



მაია პაპალაშვილი